ევროპული შეთანხმება ექთანთა მომზადებისა და განათლების შესახებ

ქ. სტრასბურგი, 1967 წლის 25 ოქტომბერი

ქვემორე ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მთავარი მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა იმისათვის, რათა, სხვა მიმართულებებთან ერთად, გააადვილონ სოციალური პროგრესი და ხელი შეუწყონ მათი მოსახლეობის სოციალურ უზრუნველყოფას შესაბამისი ქმედებების მეშვეობით;

ითვალისწინებენ რა, ევროპის საბჭოს ფარგლებში უკვე დადებულ კონვენციებს, რომლებიც აღრმავებენ ამ მიზანს, და განსაკუთრებით 1961 წლის 18 ოქტომბერს ხელმოწერილ ევროპის სოციალურ ქარტიასა და 1955 წელს ხელმოწერილ ევროპულ კონვენციას დაფუძნების თაობაზე;

არიან რა დარწმუნებულნი, რომ ექთანთა მომზადებასა და განათლების ჰარმონიზაციის შესახებ რეგიონალური შეთანხმების დადება ხელს შეუწყობს სოციალურ პროგრესსა და უზრუნველყოფს ექთანთა სტანდარტების შესაბამისობას იმ მოთხოვნებთან, რომლებიც არსებობს სხვა ხელშემკვრელი მხარის ტერიტორიაზე მათი დაფუძნებისათვის ამ სახელმწიფოთა მოქალაქეებთან თანაბარი უფლებებით;

თვლიან რა აუცილებლად მინიმალური სტანდარტების ჩამოყალიბებას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

1. თითოეული ხელშემკვრელი მხარე გამოიყენებს ან თუ ექთანთა განათლება არ ექვემდებარება მის პირდაპირ კონტროლს რეკომენდაციით მიმართავს კომპეტენტურ ორგანოებს გამოიყენონ, წინამდებარე ოქმის პირველ დანართში ჩამოყალიბებული დებულებები ექთანთა მომზადებისა და განათლების შესახებ.

2. წინამდებარე შეთანხმების მიზნებისათვის, ექთნები მოიცავენ მხოლოდ „საერთო განათლების ექთნებს“, ქალებსა და მამაკაცებს. გამორიცხულია ის ექთნები, რომლებიც მოზადებულნი არიან მხოლოდ საჯარო ჯანდაცვის, ახალშობილთა და ავადმყოფ ბავშთა მოვლის, ობსტეტრიკსა და გონებით დაავადებულთა სფეროებში.

მუხლი 2

თითოეული ხელშემკვრელი მხარე აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მისი სახელისუფლებო ორგანოების ან სხვა სტრუქტურათა სიას, რომლებიც არიან უფლებამოსილნი დაადასტურონ ექთანთა მომზადებისა და განათლების უზრუნველყოფა თუნდაც წინამდებარე შეთანხმების პირველ დანართში ჩამოყალიბებული სტანდარტების შესაბამისად.

მუხლი 3

1. მე-5 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი, მხოლოდ ხელშემკვრელ მხარეთა წარმოამდგენლობის შემადგენლობით, იქნება პასუხისმგებელი წინამდებარე შეთანხმების პირველ დანართში შესული წესების შემდგომ გაფართოებაზე ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

2. მინსიტრთა კომიტეტის მიერ ერთხმად მოწონებული პირველი დანართში შესული წესების ნებისმიერი ცვლილების ან გაფართოების თაობაზე, რაც მითითებული წინამორბედ პუნქტში, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ეცნობება ხელშემკვრელ მხარეებს და ძალაში შევა სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც გენერალურ მდივანს აცნობებენ ხელშემკვრელი მხარეები მათ მიერ ცვლილებათა ან გაფართოების შესახებ თაანხმობაზე.

მუხლი 4

1. წინამდებარე შეთანხმება ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც შესაძლოა გახდნენ მისი მხარეები:

ა. რატიფიცირების ან მიღების თაობაზე დათქმის გაკეთების გარეშე ხელმოწერით, ან
ბ. რატიფიცირების ან მიღების თაობაზე დათქმით გაკეთებული ხელმოწერით, რომელსაც მოსდევს რატიფიკაცია ან მიღება.

2. რატიფიცირების ან მიღების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

მუხლი 5

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შევა სამი თვის შემდეგ იმ თარიღიდან, როდესაც ევროპის საბჭოს სამი წევრი სახელმწიფო გახდება წინამდებარე შეთანხმების მხარე, მეოთხე მუხლის დებულებათა შესაბამისად.

2. რაც შეეხება ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში მოაწერს ხელს წინამდებარე შეთანხმებას რატიფიცირების ან მიღების თაობაზე დათქმის გაკეთების გარეშე ხელმოწერით ან რომელიც გაუკეთებს რატიფიცირებას ან მიერთებას, შეთანხმება შევა ძალაში სამი თვის შემდეგ ასეთი ხელმოწერის თარიღიდან ან რატიფიცირების ან მიღების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებიდან.

მუხლი 6

1. წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია მისაერთებლად მოიწვიოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო.

2. ასეთი მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალური მდივანთან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების გზით და ძალაში შევა დეპონირების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 7

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, ხელმოწერისას, ან რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი სარგებლობს წინამდებარე შეთანხმების მეორე დანართში გათვალისწინებული ერთი ან მეტი დათქმით.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გამოითხოვოს წინამორბედი პუნქტის შესაბამისად მის მიერ გაკეთებული დათქმა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადების მეშვეობით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების დღიდანვე.

მუხლი 8

დანართები წარმოადგენენ წინამდებარე შეთანხმების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 9

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს ხელმოწერისას, ან რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების დროს შეუძლია მიუთითოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გამოიყენება წინამდებარე შეთანხმება.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას ან ნებისმიერ მომდევნო დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით შეუძლია განავრცოს წინამდებარე შეთანხმება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიასა ან ტერიტორიებზე და რომელთა საგარეო ურთიერთობებზე ის არის პასუხისმგებელი ან რომელთა სახელითაც უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებები.

3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ასეთ განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ ტერიტორიასთან მიმართებაში შეიძლება იქნას გამოტანილი წინამდებარე შეთანხმების მეათე მუხლში ჩამოყალიბებული პროცედურის შესაბამისად.

მუხლი 10

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში რჩება განუსაზღვრელი ვადით.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს, რამდენადაც ეს მას ეხება, შეუძლია წინამდებარე შეთანხმების დენონსირება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი მიმართული შეტყობინების მეშვეობით.

3. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების თარიღიდან ექვს თვის შემდეგ.

მუხლი 11

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდა წინამდებარე შეთანხმებას:

ა. რატიფიკაციის ან მიღების აუცილებლობაზე დათქმის გარეშე გაკეთებული ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ. რატიფიკაციის ან მიღების აუცილებლობაზე დათქმით გაკეთებული ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
გ. რატიფიცირების, მიღების ან მიერთების შესახებ ნებისმიერი ინსტრუმენტის დეპონირების თაობაზე;
დ. მე-3.2 მუხლში მითითებული ცვლილებებისა და გაფართოების ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის თაობაზე;
ე. მე-5 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე შეთანხმების ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის თაობაზე;
ვ. მეორე მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების თაობაზე;

ზ. მე-7 მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების შესახებ;
თ. მე-9 მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების შესახებ;
ი. მე-10 მუხლის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინებისა და იმ თარიღის შესახებ, როდესაც ასეთი დენონსაცია შედის ძალაში.

რის დასტურადაც, შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილმა ხელმომწერებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე შეთანხმებას.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 1967 წლის ოქტომბრის ოცდამეხუთე დღეს, ერთ ასლად ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან ორივე თანაბრად ავთენტურია და რომელიც დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადაუგზავნის თითოეულ ხელმომწერსა და მიერთებულ სახელმწიფოს.

დანართი I

თავი I – საერთო განათლების ექთანთა ფუნქციების დეფინიცია

1. საერთო განათლების ექთანი, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს შემდეგ ძირითად ფუნქციებს:

ა. პაციენტის ფიზიკური, ემოციური და სულიერი საჭიროებებიდან გამომდინარე უწევს ამ პირებს კვალიფიციურ ზრუნვას, მიუხედავ იმისა ხდება ეს ჯანდაცვის დაწესებულებებში, სახლებში, სკოლებსა თუ სამუშაო ადგილებზე.
ბ. თვალყურს ადევნებს იმ ფიზიკურ თუ ემოციურ მდგომარეობასა და პირობებს, რომლებსაც გააჩნიათ მნიშვნელოვანი დატვირთვა ჯანმრთელობისათვის და აცნობებს ამ დაკვირვებებს ჯანმრთელობის დაცვის გუნდის სხვა წევრებს;
გ. ამზადებს და აძლევს მითითებებს დამხმარე პერსონალს, რომლებიც ვალდებულნი არიან უზრუნველყონ საექთნო მომსახურების საჭიროებები ჯანდაცვის ყველა სამსახურში.

3. ეს ასევე მოიცავს კონკრეტული პაციენტის საჭიროების შეფასებას საექთნო მომსახურეობაზე და შესაბამისი პერსონალის მიმაგრებას პაციენტის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე დროის გარკვეულ ეტაპზე.

თავი II – განათლების სტანდარტი, რომელიც აუცილებელია საექთნო სკოლებში მიღების კანდიდატებისათვის.

საექთნო სკოლებში მიღების კანდიდატებს, როგორც წესი მიღწეული აქვთ კულტურული და ინტელექტუალური სტანდარტისათვის, რომელიც უთანაბრდება საერთო განათლების 10 წელს. შესაბამისად, მათ ან გააჩნიათ აღიარებული სასკოლო დეპლომი, რომელიც ადასტურებს, რომ მათ მიღებული აქვთ ასეთი საერთო განათლება ან უნდა გაიარონ ოფიციალური მისარები გამოცდები თანაბარი სტანდარტით.

თავი III – სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა და კურსი

ექთნები გაივლიან საერთო საექთნო განათლების მინიმუმ 4 600 საათს. საერთო დროის ნახევარი მაინც დაეთმობა კლინიკურ მოზადებას (პრაქტიკული გამოცდილება) (იხილეთ ქვემოთ B). თუმცა, თეორიული და ფრომალური მომზადების საათთა რაოდენობა არ იქნება ნაკლები ვიდრე ერთი მესამედი საერთო სასწავლო პროგრამისა.

A – თეორიული და ფორმალური მომზადება

მომზადება მოიცავს ექთნობის ყველა ასპექტს, ისევე როგორც ავადმყოფობის პრევენციას, განათლებას ჯანდაცვაზე, რეაბილიტაციას, სამედიკამენტო ქმედებასა და მედიკამენტთა ადმინისტრირებას და კვებისა და დიეტის პრობლემებს, ასევე პირველად დახმარებას, რეზუსის დადგენასა და სისხლის გადასხმის თეორიას.

თეორია და პრაქტიკა უნდა იქნას კოორდინირებული და ინტეგრირებული მთლიან პროგრამაში.

სასწავლო კურსში შესატანი საკითხები შესაძლებელია დაიყოს ორ ნაწილად:

1. ექთნობა
- პროფესიული ორიენტაცია და ეთიკა
- ჯანდაცვისა და ექთნობის ძირითადი პრინციპები
- საექთნო ზრუნვის პრინციპები, რომლებიც გაკავშირებულია:
- საერთო მედიცინასა და სამედიცინო სპეციალიზასიათან
- საერთო ქირურგიასა და ქირურგიულ სპეციალიზაციასთან
- ბავშთა მოვლასთან და პედიატრიასთან
- ორსულის მოვლასთან
- გონებრივ ჯანმრთელობასა და პსიქიატრიასთან
- მოხუცებზე მზრუნველობასა და გერიატრიასთან.

2. ძირითადი მეცნიერებანი

- ანატომია და ფიზიოლოგია
- საერთო პათოლოგია
- ბაქტერიოლოგია, ვირუსოლოგია, პარაზიტოლოგია
- ბიფიზიკა და ბიოქიმია
- ჰიგიენა:
- პრევენციული მედიცინა
- განათლება ჰანდაცვაზე.
- სოციალური მეცნოერებები:
- სოციოლოგია
- ფსიქოლოგია
- ადმინისტრირების პრინციპები
- სწავლების პრინციპები
- სოციალური და ჯანდაცვის კანონმდებლობა
- ექთნობის სამართლებრივი ასპექტები.

B – კლინიკური მომზადება (პრაქტიკული გამოცდილება)

პრაქტიკული გამოცდილება მოიცავს ექთნის როლის ყველა ასპექტს, მათ შორის ავადმყოფობის პრევენციას, განათლებას ჯანდაცვაზე, პირველად დახმარებას, რეზუსის დადგენასა და სისხლის გადასხმას.

ეგი უნდა მოიცავდეს:

- საერთო მედიცინასა და სამედიცინო სპეციალიზაციას
- საერთო ქირურგიასა და ქირურგიულ სპეციალიზაციას
- ბავშვების მოვლასა და პედიატრიას

- ორსულის მოვლას
- მენტალურ ჯანმრთელობასა და ფსიქიატრიას (თუ შესაძლებელია სპეციალიზირებულ სამსაზურში)
- მოხუცებზე მზრუნველობასა და გერიატრიას.

ასეთი სფეროების არჩევისას გათვალისწინებულ იქნება შემდეგი ფაქტორები:

1. მიღებულ გამოცდილებას უნდა გააჩნდეს საგანმანათლებლო ღირებულება. შესაბამისად, აუცილებელია არსებობდეს:

- საკმარისად მომზადებული პერსონალი, რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ საექთნო ზრუნვა დამაკმაყოფილებელია;
- ადექვატური და დამაკმაყოფილებელი ფიზიკური საშუალებანი, მოწყობილობა და აღჭურვა პაციენტების საეთქნო მოვლისათვის.

2. ყველა იმ დეპარტამენტსა თუ დანაყოფში, სადაც სტუდენტები იქნებიან მიმაგრებულნი პრაქტიკული გამოცდილების მისაღებად, ყოველთვის იქნება ერთი კვალიფიციური ექთანი მაინც საერთო ზედამხედველობისათვის და საკმარისი დამატებითი პერსონალი რათა უზრუნველყოფილ იქნას, რომ სტუდენტი არ იტვირთავს ისეთ საქმეს, რასაც არ გააჩნია საექთნო განათლების ღირებულება.

3. იმ დეპარტამენტებსა თუ დანაყოფებში, სადაც იქნებიან მიმაგრებულნი სტუდენტები პრაქტიკული გამოცდილების შესაძენად, კვალიფიციური ექთნები დაეხმარებიან ზედამხედველობასა და მომზადებაში სტუდენტებისა, რომლებზეც პედაგოგიური შემადგენლობა არის პასუხისმგებელი.

თავი IV – მოთხოვნები საექთნო სკოლის ორგანიზებისათვის

იმისათვის რათა ადექვატურად განხორციელდეს საექთნო სწავლების შემოთავაზებული სქემა, სკოლის ორგანიზაცია და მოქმედება უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

A – საექთნო სკოლის ადმინისტრაცია

სკოლის ადმინისტრირება უნდა დაევალოს პრაქტიკოს ექიმს ან ექთანს, რომელიც კომპეტენტურია სწავლებასა და ადმინისტრირებაში.

B – პედაგოგიური კოლექტივი

მომზადება უნდა განხორციელდეს კვალიფიციური პედაგოგების მიერ: ექიმები, ექთნები და სპეციალისტები სხვადასხვა დისციპლინებში. თითოეულ სკოლა უნდა გააჩნდეს თავის შტატში ერთი კვალიფიციური ექთანი მიანც, რომელიც გადის კავლიფიკაციის ამაღლების კურსებს წელიწადში ერთხელ მაინც იმ პერიოდით, რომელიც ხდის მას კავლიფიციურს რათა ასწავლოს ექთნობა.

C – სკოლის ფინანსები

ფულის ოდენობა, რომელიც არსებობს საექთნო სწავლების პირდაპირი ხარჯების დასაფარავად, მაგალითად: პედაგოგთა ხელფასები და სასწავლო აღჭურვილობის საფასური, უნდა იყოს ნათლად წარმოჩენილი.

თავი V – სასწავლო პროგრამის დასრულების დადასტურება

A – სასწავლო ჩანაწერი უნდა არსებობდეს თითოეულ სტუდენტზე, რომლის ავთენტურობაც უზრუნველყოფილ იქნება კომპეტენტური ორგანოს მიერ და სადაც შევა:

- *მოსმენილი კურსების დეტალები*
- *ტესტებისა და გამოცდების შედეგები*
- *სწავლების დროს სტუდენტის მიერ გამოვლენილი პირადი და პროფესიული მომზადების გამოვლენის შეფასება.*

B – საბოლოო გამოცდა მოიცავს წერით, პრაქტიკულსა და ზეპირ ტესტს, და მისი დადებითად ჩაბარებისას იქნება სერტიფიცირებული.

დანართი II

ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია განაცხადოს, რომ იგი იტოვებს უფლებას:

1. არ გაითვალისწინოს პირველი დანართის მეორე თავის დებულებები და დაადგინოს, რომ კანდიდატებს შეუძლიათ მიაღწიონ კულტურულ და ინტელექტუალურ სტანდარტს საერთო განათლების რვა წლის ექვივალენტისა;

2. არ გაითვალისწინონ პირველი დანართის მეორე თავის დებულებები და დაადგინონ, რომ კანდიდატებს არ მოეთხოვებათ აღიარებული სასკოლო დიპლომის წამოდგენა;

3. არ გაითვალისწინონ პირველი დანართის მესამე თავის დებულებები და დაადგინონ თეორიული და ფორმალური მომზადების საათთა რაოდენობა, რომელიც განსხვავდება ამ თავში მითითებულისაგან;

4. არ გაითვალისწინონ პირველი დანართის მესამე თავის დებულებები:

i. სასწავლო პროგრამასა და პრაქტიკულ ტრეინინგში, საორსულო მზრუნველობის, გონებრივი ჯანმრთელობისა და ფსიქიატრიის და მოხუცების მოვლისა და გერიატრიკის, როგორც პირობითი საგნების შეტანით, ან

ii. იმის დადგენით, რომ კლინიკური მომზადება არ მოიცავს მენტალურ ჯანმრთელობას და ფსიქიატრიას.

რეკომენდაციები

I – საექთნო სკოლებში მისაღებად მინიმალური ასაკის მოთხოვნა

საექთნო სკოლაში მიღებაზე არ იქნება დადგენილი მკაცრი და სწრაფი მინიმალური ასაკის ზღვარი. სახელმწიფოებში, სადაც საერთო განათლება შედის პროგრამაში, მისაღები ასაკი შესაძლებელია იყოს შედარებით დაბალი, ვიდრე იქ სადაც ასეთი საერთო განათლება გაგებული როგორც წინასწარი რეკვიზიტი. ასაკის დადგენა ასევე დამოკიდებულია სოციალურ თუ კლიმატურ პირობებზე.

როგორც წესი, სტუდენტები არ უნდა შევიდნენ კონტაქტში პაციენტთან და საავადმყოფოს ატმოსფეროსთან, ქვეყნის გათვალისწინებით 17–19 წლის ასაკამდე.

II – განათლების სტანდარტი, რომელიც მოეთხოვებათ საექთნო სკოლებში ჩაბარების კანდიდატებს (პირველი დანართის მეორე თავი).

საერთო სწავლების 10 წლიანი ვადა არ არის აუცილებელი თუ სასწავლო სტანადარტი, რომელიც მიღწეულია უფრო ხანმოკლე განათლების შედეგად უთანაბრდება კულტურულ და ინტელექტუალურ დონეს.

III – სასწავლო პროგრამის ხანგრძლივობა და შემადგენლობა (პირველი დანართის მესამე თავის პირველი პუნქტი).

იმ შემთხვევაში თუ სწავლების საერთო საათების რაოდენობა აღემატება 4.600 საათს, მითითებული პროპორციები უნდა იქნას დაცული მხოლოდ საათთა მინიმალურ ოდენობასთან კავშირში.

IV – პრაქტიკული გამოცდილება (პირველი დანართის მესამე თავის B).

ა. პრაქტიკული გამოცდილების სფეროები უნდა წარმოადგინოს სკოლის დირექტორმა და დამტკიცდეს თითეოული სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოს მიერ.
ბ. პრაქტიკული გამოცდილების მიღება უნდა იქნას ორგანიზებული სკოლის დირექტორის მიერ და დაექვემდებაროს სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ზედამხედველობას.
გ. დებულებას N2, რომელიც ითხოვს „საკმარისი დამატებითი პესონალის არსებობას, რათა იქნას უზრუნველყოფილი, რომ სტუდენტი არ იტვირთავს ისეთ საქმეს, რასაც არ გააჩნია საექთნო განათლების ღირებულება“, გააჩნია მიზანი უზრუნველყოს, რომ სტუდენტებს არ დაეკისრებათ სამუშაო, რომელიც არ შედის მათი სწავლების სფეროში და რომელიც უნდა განხორციელდეს სხვა პერსონალის მიერ.
დ. მესამე დებულებაში ნახსენებმა ექთნებმა შეძლებისდაგვარად უნდა მიიღონ განათლება ექთნობის სწავლებასა და ადმინისტრირებაში.
ე. შემდეგი ფაქტორები ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული:

- *დეპარტამენტსა თუ დანაყოფში მყოფ პაციენტთა რაოდენობა,*
- *პაციენტების განსხვავებული კლინიკური პირობები,*
- *დეპარტამენტის ან დანაყოფის ადმინისტრირების ეფექტურობა,*
- *დეპარტამენტის ან დანაყოფის საექთნო პერსონალის შიდა სასწავლო პროგრამათა არსებობა,*
- *დეპარტამენტსა თუ დანაყოფში მისამაგრებელი სტუდენტების მიმაგრების სასურველი რაოდენობის მაქსიმალური ზღვარი,*
- *გამოყენებული სასწავლო მეთოდები.*

V – მოთხოვნები საექთნო სკოლის ორგანიზაციაზე (პირველი დანართის მეოთხე თავი).

ა. საექთნო სკოლის ადმინისტრირება

საექთნო სკოლის ადმინისტრაციას, როგორც წესი, გააჩნია დახმარება და რჩევები იმ ექთანთა მიერ შედგენილი ორგანოსგან, რომლებიც არიან მომზადებულნი რათა მოამზადონ და სხვა ისეთი დისციპლინების წარმომადგენლებისაგან, როგორიცაა მედიცინა, საერთო განათლება, ადმინისტრირება და სოციალური მეცნიერებანი.

ბ. პედაგოგიური კოლექტივი

გ. საექთნო სკოლის აღჭურვილობა

ადეკვატური ფართი უნდა არსებობდეს სკოლაში მისი სტუდენტების რაოდენობისა. შემდეგი სასწავლო აღჭურვილობა უნდა იქნა ხელმისაწვდომი: კლასი და სადემონსტრაციო ოთახები,

მცირე ოთახები ჯგუფური მუშაობისთვის, ბიბლიოთეკა და ლაბორატორია. ინდივიდუალური საოფისე ფართი უნდა არსებობდეს სრულ განაკვეთზე მომუშავე ადმინისტრაციული და პედაგოგიური კოლექტივის რაოდენობის გათვალისწინებით.

დ. უნდა იქნას უზრუნველყოფილი ადეკვატური აღჭურვილობა, რათა მოხერხდეს სწავლების თანამედროვე მეთოდების ფართო გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს აუდიო-ვიზუალური მოწყობილობების არსებობაზე.

VI – ექთნის მიერ გამოცემული დოკუმენტები

ა. სერტიფიკატი (დიპლომი ან სხვა დოკუმენტი), რომელიც დამოწმებულია გამოცემის სახელმწიფოს მთავრობის მიერ ან ამ სახელმწიფოში ამისათვის დანიშნული ორგანოს მიერ.

ბ. ამონაწერი სკოლის ჩანაწერიდან – ეს ამონაწერი უნდა მოიცავდეს:

- *ექთნის სამოქალაქო მდგომარეობას,*
- *მოსმენილ კურსებს,*
- *მიღებულ შეფასებებს.*

გ. ენების ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი